



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

56

**წინასწარჩვენო პოლიტიკური კლიმატი  
ირანის ისლამურ რესპუბლიკაში**

*ლევან ასათიანი*



**ქსეპრტის აზრი**

**2016**



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

**ლევან ასათიანი**

**წინასწარჩევნო პოლიტიკური კლიმატი  
ირანის ისლამურ რესპუბლიკაში**

**56**

**2016**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2016 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

## შესავალი

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან გრძელდება „მუდმივი ბრძოლა“ ე.წ. პრაგმატიკოსებსა და კონსერვატორებს შორის. ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს დასავლეთისათვის ტრადიციული, ევროპული ტიპის ძლიერი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეოლოგიის მქონე პარტიები. იმ ორგანიზაციათა უმრავლესობა, რომლებსაც ირანში პოლიტიკურ პარტიებს უწოდებენ, ამორფული პოლიტიკური მოძრაობებია, რომელთაც არც მკაფიო ორგანიზაციული სტრუქტურა აქვთ და არც წევრობის ინსტიტუტი. ამიტომ ამ „ბრძოლას“ ირანში უფრო ტრადიციულ ალიანსებს შორის მწვავე პოლიტიკური პოლემიკის ფორმა აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ირანული პოლიტიკური ისტე-ბლიშმენტის პრაგმატიკოსებად და კონსერვატორებად დაყოფა საკმაოდ პირობითია – ორივე ფრთა მაღალი შიიტური იერარქიის წარმომადგენლებისაგან შედგება და მათ შორის მკვეთრი იდეოლოგიური განსხვავებები ძნელი გამოსარჩევია. მიუხედავად ამისა, ირანულ პარლამენტში – მეჯლისში, რომელიც ძლიერი და დამოუკიდებელი ინსტიტუტია, ამა თუ იმ ფრთისათვის მხარდამჭერთა ხმების მოპოვება დიდ როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

## ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემა

ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელისუფლებო პირამიდა უნიკალურია და მკითხველისთვის მცირე განმარტებას მოითხოვს, კერძოდ:

ისლამური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი და სახელმწიფოს მეთაური არის ქვეყნის სულიერი ლიდერი – „რაჰ-ბარი“, რომელსაც **არ ირჩევენ** პირდაპირი საყოველთაო არჩევნებით. ისლამური რესპუბლიკა „ველაიათე ფაყიფის“, ანუ დროებით, ფარული იმამის გამოჩენამდე, ყველაზე ავტორიტეტული ისლამური ღვთისმეტყველის ხელმძღვანელობით ქვეყნის მართვის პრინციპზეა აგებული. სისტემის დამფუძნებელი ისლამური რევოლუციის ბელადი, იმამი (აიათოლა) რუჰოლა **ხომეინი** იყო. 1989 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ ეს პოსტი უცვლელად უკავია აიათოლა ალი **ხამენეის**.

ირანის ისლამური რესპუბლიკის **პრეზიდენტი**, მიუხედავად იმისა, რომ მას ირჩევენ პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით (2013 წლიდან ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტია ჰასან რუჰანი), თანამდებობით ქვეყნის მეორე პირია. მისი რწმუნებები მთავრობის მეთაურის – პრემიერ-მინისტრის ფუნქციებით შემოიფარგლება, თუმცა მის თანამდებობას მაინც საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური დატვირთვა აქვს. ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციით ქვეყანაში განსაზღვრულია რამდენიმე ურთიერთდამაბალანსებელი და მაკონტროლებელი სახელმწიფო ინსტიტუტი, კერძოდ:

ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი სახელისუფლებო ორგანოა **„ექსპერტთა საბჭო“** (ასამბლეა), რომლის პრეროგატივაა ირანის ისლამური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირის, ქვეყნის სულიერი **ლიდერის**, ე.წ. „რაჰბარის“ ქმედითუნარიანობის დადგენა და, საჭიროების შემთხვევაში, ახალი ლიდერის არჩევა.<sup>1</sup>

ლიდერის და პრეზიდენტის ინსტიტუტების, მეჯლისის, მთავრობის და „ექსპერტთა საბჭოს“ გარდა, კონსტიტუციური სახელმწიფო ორგანოებია **„რეგლამენტაციის დამდგენი“** და **„მიზანშეწონილობათა განსაზღვრის“** საბჭოები. პირველის ფუნქციაა მეჯლისის მიერ მიღებული კანონების ისლამურ კანონებთან თანხვედრის დადგენა, მეორესი კი „რეგლამენტაციის საბჭოსა“ და მეჯლისის შორის შესაძლო კონფლიქტების მოგვარება. ამ საბჭოების წევრებს არ ირჩევენ პირდაპირი არჩევნებით – მათ ნიშნავენ ნაწილობრივ ურთიერთშეთანხმებითა და ნაწილობრივ ქვეყნის ლიდერის – ხამენეის კვოტით. მათი წევრები ხშირად ერთი და იგივე პიროვნებები – ირანის შიიტური სასულიერო იერარქიის უმაღლეს მშელონის წარმომადგენლები არიან.<sup>2</sup>

ირანის დღევანდელი პოლიტიკური კონიუნქტურის განხილვისას აუცილებლად მხედველობაშია მისაღები ერთი გარემოება –

1 დღევანდელ 88-კაციან „ექსპერტთა საბჭოში“ კონსერვატორებს მეტი (56) ხმა აქვთ. საბჭოს თავმჯდომარედ 2015 წლის მარტში აირჩიეს ულტრაკონსერვატორი, 85 წლის აიათოლა მოჰამად იაზდი.

2 ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ უმაღლეს თანამდებობაზე არჩეული პირი თითქმის ყოველთვის მაღალი სასულიერო წოდების მატარებელია. 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანის ყველა პრეზიდენტი, გარდა ახმადინეჟადისა (რომელიც განათლებით ინჟინერი იყო, თუმცა ხაზგასმული ღვთისმოსაობით სასულიერო პირებს არ ჩამოუვარდებოდა), ან „აიათოლა“, ან „ხოჯათოლესლამი“ იყო. ირანის ახლანდელი პრეზიდენტი რუჰანიც სასულიერო წოდების პირია. ერთადერთი გამონაკლისია ახლანდელი მეჯლისის თავმჯდომარე ლარიჯანი, რომელიც სამოქალაქო პირია.

სულიერი ლიდერის, ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის უშუალო დაქვემდებარებაშია ქვეყნის მთელი შეიარაღებული ძალები, არა მარტო თავდაცვის სამინისტრო, არამედ ძალზე ძლიერი, ელიტური „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი“, ე.წ. „ფასდარანი“, რომელიც 1979 წლის ისლამური რევოლუციის დროს ჩამოყალიბდა და „რევოლუციის მონაპოვართა“, ანუ ისლამური წყობის დაცვა ევალებოდა. დღეს „კორპუსი“ ხშირად თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებზე უკეთესად შეიარაღებული სამხედრო ორგანიზაციაა. იგი, ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურ მონაწილეობას იღებს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტებში (სირია, ლიბანი, იემენი). პრეზიდენტმა ახმადინეჟადმა თავისი პოლიტიკური კარიერა სწორედ კორპუსის წევრობით დაიწყო და, შესაბამისად, მისი მხარდაჭერითაც სარგებლობდა. ახმადინეჟადის პრეზიდენტობისას „კორპუსის“ გავლენა გაიზარდა – დღეს იგი უკვე აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. „გუშაგთა კორპუსი“ კონსერვატიული პოლიტიკური ფრთის მხარდამჭერად ითვლება.

## წინასაარჩევნო სიტუაცია

2016 წელს პოლიტიკური „ბრძოლა“ კონსერვატორებსა და პრაგმატიკოსებს შორის ახალ მახასიათებელს იძენს. ა.წ. თებერვალში მეჯლისის, 290-კაციანი ირანული პარლამენტის, არჩევნებს, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ტარდება, დაემთხვა ყოველ რვა წელიწადში ერთხელ ჩასატარებელი, ზემოთ უკვე ნახსენები, ქვეყნის ლიდერის შერჩევის ფუნქციის მქონე „ექსპერტთა საბჭოს“ არჩევნებიც. საბჭო უნდა დაკომპლექტდეს ისლამის 86 ღვთისმეტყველ-სამართალმცოდნისაგან.<sup>3</sup> ქვეყნის მართვის „ველაიათე ფაყიფის“ პრინციპს იმამ ხომეინის სიცოცხლეშიც და მისი გარდაცვალების შემდეგაც უმაღლეს შიიტურ წრეებში ბევრი მონიშნალმდევე ჰყავდა. ქვეყნის დღევანდელ უმაღლეს სასულიერო იერარქიაშიც არიან ძალზე გავლენიანი პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც ქვეყნის კოლექტიური მმართველობის პრინციპისკენ იხრებიან. კერძოდ, ირანის ყოფილი პრეზიდენტი (1989-1997 წ.წ.), დღეს „მიზანშენონილობათა განსაზღვრის საბჭოს“ თავმჯდომარე, „პრაგმატიკოსი“ აიათოლა რაფსანჯანი წლების განმავლობაში აყენებდა

3 ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარედ 2015 წლის მარტში აირჩიეს ულტრაკონსერვატორი, 85 წლის აიათოლა მოჰამად იაზდი.

საკითხს შექმნილიყო ქვეყნის მმართველობის კოლექტიური ორგანო, ე.წ. „ლიდერობის საბჭო“. მას და რამდენიმე ავტორიტეტულ აიათოლას მიაჩნიათ, რომ ჯერჯერობით არ გამოკვეთილა ქვეყნის მომავალი ლიდერობის ღირსეული კანდიდატურა.<sup>4</sup>

როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, „ექსპერტთა საბჭოში“ არჩევის სურვილი გამოთქვა ქვეყანაში საკმაოდ პოპულარულმა პიროვნებამ, **სეიიდ ჰასან ხომეინი** – ისლამური რესპუბლიკის დამაარსებლის, **აიათოლა (იმამ) ხომეინის შვილიშვილმა**. იგი ზომიერი და ულტრაკონსერვატორების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსია. პოლიტიკურ ასპარეზზე მისმა გამოჩენამ კონსერვატორთა შორის საკმაო რეზონანსი გამოიწვია – ასეთი ცნობილი გვარის მქონე პოლიტიკოსის რეფორმატორთა თუ პრაგმატიკოსთა, ან თუნდაც, ზომიერ „პრინციპიალისტთა“ მომხრედ მოხსენიება მყიფე პოლიტიკური ბალანსის დარღვევის საშიშროებად აღიქმეს.

პოლიტიკურ ჯგუფებს შორის უკვე დაიწყო სერიოზული კონსულტაციები ერთმანეთისაგან მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ირანულ პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია ძალზე გავლენიანი ოთხი პოლიტიკური ფიგურის – ზომიერ „პრინციპიალისტებად“ ცნობილი ველაიათის (ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ქვეყნის ლიდერის მრჩეველი), ნათეყ-ნურის (მეჯლისის ყოფილი თავმჯდომარე), ლარიჯანისა (მეჯლისის მოქმედი თავმჯდომარე) და აიათოლა მოჰთადაეს (ყოფილი გენ. პროკურორი) კერძო შეხვედრების შესახებ. აქტიური მოძრაობებია ე.წ. „რეფორმისტთა“ და „პრაგმატიკოსთა“ რიგებშიც. საუბარია მათი ქვეყნის პრეზიდენტ რუჰანისა და მისი გუნდის გარშემო გაერთიანებასა და მეჯლისის არჩევნებში საერთო სიით მონაწილეობაზე.

**ჰასან რუჰანი** ყოველთვის სარგებლობდა ქვეყნის ლიდერის – ხამენეის მხარდაჭერით. წლების განმავლობაში იგი ლიდერის წარმომადგენელი იყო უშიშროების საბჭოში, ხოლო მოხამედ ხათამის პრეზიდენტობის დროს (1997-2005 წწ.) უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობა ეჭირა. მის სახელს უკავშირდება ის, რომ 2003 წელს ირანმა შეწყვიტა ურანის გამდიდრება და ძალაში შევიდა „ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების“ დამატებითი ოქმი, რის შემდეგაც ირანის ბირთვულ ობიექტებზე საერთაშორისო დამკვირვებლები დაუშვა. 2005 წელს მაჰმუდ ახმადინეჟადის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მეჯლისმა გააუქმა ეს

<sup>4</sup> ლიდერობის ერთ-ერთ შესაძლო კანდიდატად თვითონ რაფსანჯანიც მოიაზრება.

გადაწყვეტილებები და დასავლეთთან კონფრონტაცია კვლავ მწვავე ფაზაში გადავიდა, რასაც საბოლოოდ ქვეყნის მიმართ აშშ-ის, ევროკავშირისა და გაეროს სანქციების შემოღება მოჰყვა.

ჰასან რუჰანის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, რა თქმა უნდა, ქვეყნის სულიერი ლიდერის თანხმობით,<sup>5</sup> აღდგა ირანის ბირთვული პრობლემის შესახებ დასავლეთთან დიალოგი. 2015 წლის ზაფხულში მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა პრინციპული ურთიერთგაგება ირანის მომავალი მშვიდობიანი ბირთვული საქმიანობის ძირითად პარამეტრებზე და გაეროს, აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების მოხსნაზე. აშშ-სა და დასავლეთთან კონფრონტაციის დასრულებას და ეკონომიკური და საბანკო სანქციების მოხსნის პერსპექტივას დიდი ენთუზიაზმით შეხვდა თეირანის მოსახლეობა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო დიდი პოპულარობა მოუპოვა პრეზიდენტსა და მის „რეფორმატორ“ (პრაგმატულ) გუნდს.

## დასკვნა

ქვეყნის დღევანდელი სულიერი ლიდერის, აიათოლა **ალი ხამენეის** ასაკისა (77 წელი) და ჯანმრთელობის მდგომარეობის (მას რამდენიმე მძიმე ოპერაცია აქვს გადატანილი) გათვალისწინებით, შესაძლებელია, რომ სწორედ წელს არჩეულ „**ექსპერტთა საბჭოს**“ მოუწიოს ახალი ლიდერის არჩევა. ამიტომ წლევანდელ არჩევნებს ორმაგი დატვირთვა აქვს: ფაქტობრივად შეიძლება ირანული საზოგადოება, როგორც შიიტური სასულიერო იერარქია, ისე სამოქალაქო, რეალურად დადგეს ქვეყნის განვითარების მომავალი კურსის განსაზღვრის ფაქტის წინაშე. იმაზე, თუ როგორ დაკომპლექტდება „ექსპერტთა საბჭო“, ბევრად იქნება დამოკიდებული „სულიერი ლიდერის“ ინსტიტუტის რაობა. დღევანდელი ლიდერის შესაძლო შემცვლელის კანდიდატურის განსაზღვრა ქვეყნის განვითარების მთავარი მიმართულებების განსაზღვრასთან ასოცირდება.

პრეზიდენტი რუჰანი გამოცდილი და ფრთხილი პოლიტიკოსია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ წინასაარჩევნოდ მისი გუნდი ღია კონფლიქტზე წავიდეს თავის ოპონენტებთან. ირანული საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი ტრადიციულად კონსერვა-

---

5 ხამენემ განაცხადა, რომ იგი არ ენდობა აშშ-სა და დასავლეთს, მაგრამ არ შეუშლის ხელს რუჰანის მცდელობას მოლაპარაკებების გზით მიეღწია ქვეყნისათვის ეკონომიკური სანქციების მოხსნისათვის.



ტორულია და დღესაც მეტწილად ანტიდასავლურად (ანტიამერიკულად) არის განწყობილი. ამის ერთ-ერთი მიზეზი, რა თქმა უნდა, ქვეყნის სულიერი ლიდერის, ალი ხამენეის ბოლოდროინდელი გამონათქვამებიცაა – „არავითარი შეთანხმებები ამერიკასთან, გარდა ბირთვული საკითხისა“.

მომავალი საპარლამენტო და „ექსპერტთა საბჭოს“ არჩევნები აჩვენებს, თუ რითი დამთავრდება ირანული ლიბერალი პოლიტიკისა და საკმაოდ გაახალგაზრდავებული საზოგადოების უკვე **მეორე მცდელობა შეცვალოს** ქვეყნის პოლიტიკური ვექტორი. პირველი ასეთი მცდელობა **მუჰამად ხათამის** პრეზიდენტობის დროს იყო, თუმცა იგი მხოლოდ ქვეყნის შიდა ცხოვრების წესების ნაწილობრივი ლიბერალიზაციით დასრულდა.

2013 წელს პრეზიდენტად ჰასან რუჰანის არჩევით და მისი დასავლეთთან წარმატებული მოლაპარაკებების კურსის მხარდაჭერით ირანულმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გამოხატა ქვეყანაში რეალური ცვლილებების დანყების სურვილი. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში უმაღლესი კომისარ ფრედერიკა მოგერინის მიერ **2016 წლის 18 იანვარს** გაეროსთან არსებული ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (საესი) დასკვნაზე დაყრდნობით გამოცხადებულმა გადაწყვეტილებამაც, ირანის ისლამური რესპუბლიკისათვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის შესახებ, თავისებური გავლენა უნდა მოახდინოს ირანში მიმდინარე წინასაარჩევნო გარემოზე.

საქმე ახლა უკვე მეჯლისის დეპუტატების ფრაქციულ კუთვნილებასა და „**ექსპერტთა საბჭოს**“ მიერ მომავალი „სულიერი ლიდერის“ არჩევასა და მისი მსოფლმხედველობის ორიენტაციაზე იქნება დამოკიდებული.